


ნიმუშებში შესულია როგორც მარტივი და საშუალო სირთულის, ისე რთული დავალებები

1. რომელი ერთეული შეესაბამება მ/წმ-ს?


- ა) ჰც.მ ბ) მ/ჰც გ) ჰც.წმ დ) წმ/ჰც

2. მოცემულია წრფივად მოძრავი სხეულის სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. $t=0$ მომენტიდან რა დროში გაივლის სხეული 40 მ-ს?

- ა) 2 წმ ბ) 2,5 წმ
გ) 3 წმ დ) 4 წმ



3. ნახაზ a-ზე გამოსახულია გარკვეულ მომენტში სხეულის სიჩქარისა და აჩქარების ვექტორები. ნახაზ b-ზე გამოსახული ოთხი ისრიდან, რომელი გვიჩვენებს ამ მომენტში სხეულზე მოქმედი ძალების ტოლქმედის მიმართულებას?




- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

4. ჰორიზონტალურ რელსებზე უხახუნოდ მიგორავს ურიკა. მას ადგილიდან შეახტა ბიჭი ურიკის მოძრაობის მიმართულების მართობულად. ურიკის სიჩქარე გაიზრდება, უცვლელი დარჩება თუ შემცირდება ამის შედეგად?


- ა) შემცირდება ბ) უცვლელი დარჩება გ) გაიზრდება
დ) პასუხი დამოკიდებულია ურიკისა და ბიჭის მასების ფარდობაზე

5. ორი მოთხილამურე, S და T, ჯოხების დაუხმარებლად ჩამოსრიალდა გორაკის A წვეროდან მოყინულ გზაზე და სხვადასხვა გზით მიაღწიეს B სათხილამურო ბაზას. T მოთხილამურე მოძრაობისას უფრო დაბლა დაეშვა, ვიდრე S მოთხილამურე. (იხ. ნახ.). სათხილამურო ბაზასთან რომელი მოთხილამურის სიჩქარეა მეტი? ხახუნის უგულვებელყავით.




- ა) აქვთ ტოლი სიჩქარეები
- ბ) მეტია T-ს სიჩქარე
- გ) მეტია S-ის სიჩქარე
- დ) პასუხი დამოკიდებულია მოთხილამურეთა მასებზე

6. ნახაზზე გამოსახული 1 კგ მასის ერთგვაროვანი ბერკეტი წონასწორობაშია. მარცხენა სხეულის მასაა 2 კგ. რისი ტოლია მოდებული F ძალა?




- ა) 0,5 ნ
- ბ) 16
- გ) 5 ნ
- დ) 10 ნ

7. კუბი ჩაძირულია სითხეში. სითხის წონით გამოწვეული წნევა კუბის ზედა წახნაგზეა P, ქვედაზე კი 1,2 P. სითხის ზედაპირიდან რა სიღრმეზეა ჩაძირული კუბის ზედა წახნაგი, თუ კუბის წიბოს სიგრძეა L?



- ა) 3L
- ბ) 5L
- გ) 6L
- დ) 8L

8. ერთნაირი ზომების ორი ძელაკი ტივტივებს ერთი და იგივე სითხეში ისე, როგორც ნაჩვენებია ნახატზე. h ძელაკების სიმაღლეა. განსაზღვრეთ ძელაკების ნივთიერებათა სიმკვრივების ρ_1/ρ_2 შეფარდება.




- ა) 1/2
- ბ) 2/3
- გ) 3/2
- დ) 2

9. სხეულის რხევის ამპლიტუდაა 0,2 მ. რისი ტოლია სხეულის გადაადგილება რხევის პერიოდის განმავლობაში?


- ა) 0 ბ) 0,2 გ) 0,4 დ) 0,8

10. გრძელი თოკის გასწვრივ ვრცელდება განივი ტალღა. ABCDEFG მრუდი წარმოადგენს თოკის ფორმას დროის ერთ-ერთ მომენტში. ტალღის სიგრძეს შეესაბამება შემდეგი სიგრძე




- ა) AC მონაკვეთის სიგრძე ბ) BF მონაკვეთის სიგრძე გ) ABC რკალის სიგრძე
 დ) ABCDE რკალის სიგრძე

11. რომელ ნახატზეა სწორად წარმოდგენილი ელექტრომეტრთან დამუხტული ღეროს მიახლოების (და არა შეხების) შედეგი?




- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

12. ქვემოთმოყვანილიდან რომელი აღნიშვნა შეესაბამება რეოსტატს?




- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

13. რომელი ნათურა (ნათურები) აინთება K_2 ჩამრთველის ჩართვისას (იხ. ნახ.)?




- ა) არც ერთი არ აინთება ბ) მხოლოდ I ნათურა გ) მხოლოდ II ნათურა
 დ) ორივე ნათურა

14. რისი ტოლია R წინაღობა ნახატზე გამოსახულ წრედში?




- ა) 1 ომი ბ) 2 ომი გ) 4 ომი დ) 6 ომი

15. რომელ ნახატზე გამოსახული სქემა გამოგვადგება გამტარის R წინაღობის გასაზომად?



19. რომელი იქნება ნახაზზე ნაჩვენები ისრების გამოსახულება სარკეში?



- ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

20. დალაგეთ ყვითელი, წითელი და იისფერი სინათლე მინაში მათი სიჩქარის ზრდის მიხედვით უმცირესიდან - უდიდესისაკენ.

- ა) სამივეს სიჩქარე ერთნაირია ბ) წითელი, ყვითელი, იისფერი
 გ) იისფერი, წითელი, ყვითელი დ) იისფერი, ყვითელი, წითელი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ა	x			x	x				x			x								
ბ			x				x			x				x				x		
გ								x			x					x	x		x	
დ		x				x							x		x					x